ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
დამატებითი პროგრამა
ფსიქოლოგია
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	**დამატებითი პროგრამა: ფსიქოლოგია**
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	6 სემესტრი, 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს და განახლდა 2021 წელს. გაუჯობესებების მიზნით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისთვის შესაძლებელია პროგრამის განახლება.
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	პროფ. ნინო ჯავახიშვილი, პროფ. თინათინ ჭინჭარაული.

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია:

- სტუდენტს მისცეს ცოდნა ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებების, თეორიების, მეთოდების შესახებ;
- განუვითაროს ფსიქოლოგიური მოვლენებისა და პროცესების ანალიზისა და შეფასების უნარი.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები

კურსდამთავრებულს:

1. აქვს ფართო ცოდნა ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგის ძირითადი ცნებების, თეორიული მიდგომებისა და ემპირიული კვლევების შესახებ;

შეუძლია:

2. ფსიქოლოგიური პრინციპების გამოყენება სხვადასხვა საკითხთან (პიროვნული, სოციალური თუ ორგანიზაციული) მიმართებაში;
3. ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
4. საკუთარი მოსაზრებების, თეორიული თუ ექსპერიმენტული კვლევითი გეგმებისა და კვლევის შედეგების თანმიმდევრულ და არგუმენტირებულ გადმოცემა როგორც ზეპირად, ასევე წერილობით;
5. პროფესიულ და კვლევით საქმიანობაში ეთიკის პრინციპების დაცვა;

სწავლების მეთოდები

- ლექცია და სემინარი;
- დისკუსია/დებატები, პრობლემური შეკითხვების დასმა;
- ჯგუფური მუშაობა;
- დემოსნსტირების მეთოდი;
- ელექტრონული სწავლების ელემენტები;
- გონებრივი იერიში;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;
- გამოცდილებით (experiential) სწავლება;
- რეფლექსიის მეთოდი;

პროგრამის სტრუქტურა

- ფსიქოლოგიის სავალდებულო კურსები - 42 კრედიტი
- ფსიქოლოგიის არჩევითი კურსები – 18 კრედიტი

შეფასების წესი
შეფასების წესი: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. შენიშვნა: შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები
• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები - ScienceDirect, Scopus, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Clarivate Analytics, SAGE, Cambridge Journals, Directory Of Open Access Journals და სხვა); • კომპიუტერული რესურს-ცენტრი, რაოდენობრივი მონაცემების დამუშავების კომპიუტერული პროგრამა (SPSS); • ტექსტური, ვიდეო-აუდიო საცავი; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ფსიქო-ფიზიოლოგიური სამეცნიერო კვლევითი ცენტრი; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტი; • არგუსი; Turnitin და E-learning; • აკადემიური წერის ცენტრი: https://writingcentre.iliauni.edu.ge/ge/

პროგრამის კურსების კატალოგი

კურსის დასახელება	კურსის სტატუსი	წინაპირობა	კრედიტი	საკონტაქტო საათები	სემესტრი		ლექტორი
ფსიქოლოგიის სავალდებულო კურსები - 42 კრედიტი							
სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები	სავ.		6	32	X	X	მარიამ დალაქიშვილი, ლევან თარხნიშვილი
ფსიქოლოგიის საფუძვლები	სავ.		6	30	X	X	მაია წერეთელი, ანა მაყაშვილი, ია შეყრილაძე
სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები	სავ.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	6	32	X	X	რუსუდან მირცხულავა
კლინიკური ფსიქოლოგია: დარღვევები (პათოფსიქოლოგია)	სავ.		6	32	X	X	ქეთევან მაყაშვილი, რევაზ კორინთელი
განვითარების ფსიქოლოგია	სავ.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	6	30	X	X	მაია წერეთელი, დარეჯან კახიანი

პიროვნების ფსიქოლოგია და განწყობის თეორია	სავ.	სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები	6	32	X	X	ქეთევან მაყაშვილი
განათლების ფსიქოლოგია	სავ.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	6	32	X	X	მარინე ჯაფარიძე
ფსიქოლოგიის არჩევითი კურსები - 18 კრედიტი							
ემოციების ფსიქოლოგია	არჩ.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	6	32	X	X	რუსუდან მირცხულავა
კლინიკური ფსიქოლოგია:ფსიქოდიაგნოსტიკა (შეფასება)	არჩ.	ფსიქოლოგიის საფუძვლები; განვითარების ფსიქოლოგია	6	30	X		დარეჯან კახიანი
კლინიკური ფსიქოლოგია: ფსიქოკონსულტირების საფუძვლები და საბაზო ტექნიკები	არჩ.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	6	32	X	X	რევაზ კორინთელი
ხელოვნების ფსიქოლოგია	არჩ.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	6	32	X	X	რუსუდან მირცხულავა
ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები	არჩ.	ფსიქოლოგიის საფუძვლები; განვითარების ფსიქოლოგია	6	32		X	დარეჯან კახიანი
ფსიქოანალიზის საფუძვლები და მისი მიმართულებები	არჩ.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	6	32		X	რევაზ კორინთელი
ინდუსტრიული და ორგანიზაციული ფსიქოლოგია	არჩ.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	6	30	X		მაია ხოსიტაშვილი
ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკური ჯანმრთელობა	არჩ.	ფსიქოლოგიის საფუძვლები; კლინიკური ფსიქოლოგია: დარღვევები (პათოფსიქოლოგია);	6	30	X	X	მარინა გეგელაშვილი
შესავალი სოციალურ მუშაობაში	არჩ.		6	32		X	შორენა საძაგლიშვილი
სოციალური სამართლიანობა და სოციალური მუშაობის პროფესია	არჩ.		6	32	X		შორენა საძაგლიშვილი
აზარტულ თამაშებსა და ნივთიერებებზე დამოკიდებულება	არჩ.		6	32	X		ირმა კირთაძე